პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 აგვისტო, სამშაბათი, 1986 წ.
№ 151 (9312) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# სამეული...

ლევან ბასილაშვილი, დავით ხოდელი, რობერტ ძიძიშვილი...

ამ სამეულმა, როგორც სამბოს მოყვარულებმა იციან, ჩინებულად იასპარეზა მინსკში, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში. ბასილაშვილი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა, ხოდელმა და ძიძიშვილმა კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

რა თქმა უნდა, ძნელი იყო კვარცხლბეკისკენ მიმავალი გზა. ლევან ბასილაშვილს, მაგალითად, ფავორიტად არავინ ასახელებდა, რადგან მის წონაში რამდენიმე ტიტულიანი სპორტსმენი გამოდიოდა. საგარეჯოელმა ფალავანმა ერთ-ერთი მათგანი — ერევნელი გურგენ ტუტხალიანი პირველსავე წრეში დაამარცხა, თანაც — ორ წუთში. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ბასილაშვილმა მომდევნო შეხვედრაში ვერაფერი გააწყო აზერბაიჯანელ ელჩინ სულთანოვთან და ქულებით წააგო. სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში მჟღავნდება სპორტსმენის ნებისყოფა. ლევანს, საბედნიეროდ, მტკიცე ხასიათი აღმოაჩნდა. ქართველმა სამბისტმა იშვიათი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა, ფინალში კი ახალგაზრდებს შორის საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონს ჩაიგ აგაევს აჯობა. საქართველოს ნაკრებს 25-25 ქულა შესძინეს დავით ხოდელმა და რობერტ ძიძიშვილმა. მათი გამოსვლაც უთუოდ ქებას იმსახურებს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჩვენი გუნდის დანარჩენ წევრებზე, განსაკუთრებით პირველ ხუთეულზე, რომელმაც საერთო „ყულაბაში" მხოლოდ 9 ქულა შეიტანა. საქართველოს ნაკრები ამიტომაც აღმოჩნდა მისთვის შეუფერებელ X ადგილზე.

ჩვენ ახლო მომავალში ვრცელი საუბარი გვექნება სპარტაკიადაზე საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების გამოსვლაზე.



**რობერტ ძიძიშვილი**

დაიბადა 1963 წელს დუშეთში. წონა 102 კგ, სიმაღლე 186 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" წევრი. მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სულიკო ფეიქრიშვილი და ემილ ბაბასიანი. დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი. სპორტში ვარჯიშობს 1976 წლიდან. ძიუდოისტთა საკავშირო ახალგაზრდული პირველობის პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს IX სპარტაკიადის ჩემპიონი სამბოში, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი (+100 კგ.)

**ლევან ბასილაშვილი**

დაიბადა 1963 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში. წონა 52 კგ, სიმაღლე 167 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" წევრი. მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ბიჭიკო მარიდაშვილი და ანზორ ზურაბაული. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამგზის ჩემპიონი, ორ საკავშირო ტურნირში გამარჯვებული, საქართველოს IX სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი.

**დავით ხოდელი**

დაიბადა 1963 წელს კასპის რაიონის სოფელ ალაიანში. წონა 90 კგ, სიმაღლე 180 სმ სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" წევრი. მწვრთნელები — ლავრენტი კაციაშვილი, ნუგზარ ხუციშვილი და გმირო ხაჩიძე. მუშაობს კასპის ჭიდაობის სპორტსკოლაში მწვრთნელად. ვარჯიშობს 1980 წლიდან, 1985 წლის სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# მესამე გამარჯვება ფინალში

კიევი. ხელბურთელ ვაჟთა სასპარტაკიადო შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური და რჩა. გუშინწინ საქართველოს გუნდი ლიტვის კოლექტივს შეხვდა. ჩვენმა ხელბურთელებმა ეს შეხვედრაც ალღოიანობით ჩაატარეს და სატურნირო ცხრილში მორიგი 2 ქულა ჩაიწერეს — 23:18.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ორ შეხვედრას საქართველოს გუნდი მოლდავეთისა და რუსეთის ფედერაციის ხელბურთელებთან ჩაატარებს.

# ნავებმა აფრები დაუშვეს

ტალინი. დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული აფროსანთა რეგატა, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 14 კოლექტივი ასპარეზობდა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. მოსკოვი —384 ქულა, 2. უკრაინა — 375, 3. ესტონეთი — 350, 4. ბელორუსია—304, 5. რუსეთის ფედერაცია — 257, 6. სომხეთი — 234, 7. ლიტვა — 196, 8. ლენინგრადი — 194, 9. ლატვია — 133, **10. საქართველო — 126,** 11. აზერბაიჯანი — 71, 12. ყაზახეთი — 57, 13. უზბეკეთი — 47, 14. მოლდავეთი —5.

სპარტაკიადის ჩემპიონები ცალკეული ნავების მიხედვით გახდნენ: „ვინდგლაიდერი" (ქალები) — ი. კაზაკოვა (მოსკოვი), „ვინდგლაიდერი" (ვაჟები) — ე. ბოგოტირიოვი (რსფსრ), „ლუჩი" — პ. ჩუპრინი (რსფსრ), „ფინი"—მ. აპუხტინი (მოსკოვი), „470" (ქალები)— ლ. მოსკალენკო (დნეპროპეტროვსკი), „470" (ვაჟები)—გ. მინცე (ლიტვა), „მფრინავი ჰოლანდიელი"— ა. კონოვი (მოსკოვი), „სოლინგი" გ. შაიდუკო (მოსკოვი), „ვარსკვლავი" — ვ. ზუევი (ბელორუსია); „ტორნადო" — ვ. სემიონოვი (ბელორუსია).

**საქართველოს აფროსანთა შედეგები ზემოდჩამოთვლილ კლასებში ასეთია: „ვინდგლაიდერი" (ქალები) — II ადგილი. „ვინდგლაიდერი" (ვაჟები) VII, „470" (ქალები) — VII, „470" (ვაჟები) — IX, „ლუჩი" — IV, „ფინი" — XII, „მფრინავი ჰოლანდიელი" — X , „სოლინგი" — XI, „ვარსკვლავი" — VII.**

# ოქროს მედლების ბედი ქულამ გადაწყვიტა

პერუჯა. იუნიორ კალათბურთელთა ევროპის მორიგი ჩემპიონატი ამჯერად იტალიის ამ ქალაქში ჩატარდა. ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე ფავორიტებად საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის გოგონებს მიიჩნევდნენ. პროგნოზი გამართლდა.

ორივე მეტოქემ წარმატებით ჩაატარა ყველა წინასწარი მატჩი და ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ერთობ დაძაბული და შინაარსიანი გამოდგა. ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ დაასახელა — 64:64. დაინიშნა დამატებითი ხუთწუთიანი პერიოდი, რომელშიც უმნიშვნელო უპირატესობას საბჭოთა კავშირის გოგონებმა მიაღწიეს — 71:70.

ბრინჯაოს მედლები ტურნირის მასპინძლებმა — იტალიელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს.

VII

## თვის მონაგარი

ყველა სპორტულ შეჯიბრებას, რა რანგისაც არ უნდა იყოს იგი, თავისი გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ არის ტურნირები, მილიონობით ადამიანთა ინტერესს რომ იწვევს. ამ თვალსაზრისით ივლისი გამორჩეული თვე გახლდათ: სპორტის მოყვარულები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს კეთილი ნების თამაშებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებებს. ივლისში ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებებიც, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვეს. „თვის მონაგარში", ტრადიციულად, ამ გამარჯვებების შესახებ ვილაპარაკებთ.

МОСКВА '86 ИГРЫ ДОБРОЙ ВОЛИ

კეთილი ნების თამაშებზე, ამ გრანდიოზულ სპორტულ ასპარეზობაზე, საქართველოს შვიდმა სპორტსმენმა მოიპოვა სხვადასხვა ღირსების ჯილდო. ჩვენ, პირველ ყოვლისა, თბილისელი ხუთჭიდელი ვახტანგ იაგორაშვილი უნდა მოვიხსენიოთ. ვახტანგმა შარშანდელ და წლევანდელ სპორტულ სეზონში არაერთხელ დაამტკიცა, რომ ექსტრა-კლასის ხუთჭიდელი, საბჭოთა კავშირის ნაკრების სრულუფლებიანი და საიმედო წევრია. ქართველ სპორტსმენს კეთილი ნების თამაშებშიც არა ჰყოლია ბადალი. მან უძლიერეს მეტოქეებთან ბრძოლაში დიდოსტატური შედეგით გაიმარჯვა — 5581 ქულა და თამაშების ორი ოქროს მედალი მიიღო (პირად და გუნდურ ტურნირში გამარჯვებისთვის). ორი ჯილდო დაიმსახურა მძიმე წონის თბილისელმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ დავით გობეჯიშვილმაც — ოქროს მედალი გუნდურ შეჯიბრებაში, ვერცხლის — პირად ტურნირში. თამაშების პრიზიორთა შორის არიან ოთარ მჭედლიშვილი (ველოსპორტი), მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა), გურამ ბიგანიშვილი (აფროსნობა), ხვიჩა ხდრიანი და იური სავოჩკინი (ორივე — კრივი).

# ვინც რესპუბლიკა ასახელა

ახლა სასპარტაკიადო ორთაბრძოლები გავიხსენოთ. ივლისში სპორტის ათამდე სახეობის წარმომადგენლებმა გაითამაშეს სპარტაკიადის მედლები.

საკავშირო კომპლექსურ შეჯიბრებაზე ჩვენ ძირითადად ჭიდაობისა და მოჭიდავეების იმედი გვაქვს. ჭიდაობის ქართული სკოლის ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ ჩვენი ფალავნების ნებისმიერი წარმატება არავის აკვირვებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გამარჯვებები იოლად მოდის, მით უმეტეს ხალხთა სპარტაკიადაზე, სადაც თითოეული მედალი ძნელად მოიპოვება. მინსკიდან და კიევიდან ჩვენმა ათლეტებმა 14 მედალი ჩამოიტანეს (8 ოქროს, 2 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი), რაც თავისთავად ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ გუნდური ადგილები მაინც ვერ გამოდგა სახარბიელო. რა თქმა უნდა, ამის მიზეზად შეგვიძლია სპარტაკიადის ჩათვლის სისტემის თავისებურებები დავასახელოთ, კერძოდ ის, რომ სპარტაკიადის წინ გუნდები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ (ძირითადად ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობაში), მაგრამ მთავარი მიზეზი სხვა არის: საქართველოს ნაკრები გუნდების ლიდერები დანარჩენ წევრთაგან ოსტატობით საგრძნობლად განსხვავდებიან. დიახ, ფავორიტებმა კი ისახელეს თავი, მაგრამ დანარჩენები კოლექტივს ვერაფერში წაადგნენ.

მაგრამ დღეს ჩვენ გამარჯვებულებზე ვსაუბრობთ — მათ უთუოდ დაიმსახურეს ქება. საქართველოს სპორტულ დელეგაციას IX სპარტაკიადის პირველი ოქროს მედალი ავთანდილ გოგოლიშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა) მოუტანა. მოულოდნელი გამარჯვება იყო, მაგრამ

იხ. მე-2 გვ.

## ნომერში:

⊙ სპორტული ივლისის შედეგები 1-2 გვ.

⊙ რესპუბლიკის საფეხბურთო მინდვრებზე წესრიგის დასამყარებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოპერატიული ზომები მიიღო. მე-2 გვ.

⊙ კომპიუტერი, სპორტი და სინამდვილედ ქცეული ფანტასტიკა მე-3 გვ.

⊙ ქალაქში შემოტანილი ქართული ჭიდაობის მადლი მე-4 გვ.

VII

თვის მონაგარი

# ვინც რესპუბლიკა ასახელა

დასაწყისი იხ. I გვ.

შემთხვევითი — არა. გოგოლიშვილი გულმოდგინედ ემზადებოდა დიდი სპორტული სიმაღლის დასაპყრობად და აი, მისი ჯერიც დადგა. წინგან ესტაფეტა ლერი ხაბელოვმა და დავით გობეჯიშვილმა მიიღეს, ზაზა თურმანიძემ კი ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა. 1971 წლის შემდეგ ხალხთა სპარტაკიადაზე თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონი არ გვყოლია და აი, ერთბაშად სამი ლაურეატი!

ძიუდოში ყველა სპარტაკიადაზე გვყავდა გამარჯვებული, მაგრამ მაინც არ გვეგონა, ამჯერად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ოთხი ქართველი ფალავანი თუ ავიდოდა. რვა წონითი კატეგორია და ოთხი ჩემპიონი! ეს მართლაც გმირობაა. ძიუდო ჩვენში სპორტის ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ სახეობად ითვლება და საქართველოს ათლეტებმა ამჯერადაც დიდი სიხარული მოუტანეს გულშემატკივრებს—„ოქროს კვარტეტს“ (ავთანდილ გუბელაძე, კობა კურტანიძე, აკაკი კიბორძალიძე, ვახტანგ ჯაფარიძე) „ბრინჯაოს დუეტიც“ (ენგურ გოგიჩაშვილი, ლერი ნაკანი) ამოუდგა მხარში.

ძიუდოისტებმა, როგორც ცნობილია, კიევში იასპარეზეს, პარალელურად მინსკში სპარტაკიადის მედლებისთვის იბრძოდნენ „კლასიკოსები“. სამწუხაროდ, მინსკიდან ამაოდ ველოდით სასიხარულო ცნობებს. მხოლოდ ვასილ ქარსელაძემ ძლივს ვერცხლის მედლის მოპოვება. ამ ახალგაზრდა, უდავოდ ნიჭიერ სპორტსმენს მხარი ვერ აუბეს გუნდის სხვა წევრებმა და საქართველოს ნაკრები მისთვის უჩვეულო VII ადგილზე აღმოჩნდა.

მოჭიდავეთა სასპარტაკიადო ტურნირი სამბისტთა გამოსვლით დასრულდა. შეჯიბრების ბოლო დღეს სამმა ქართველმა ფალავანმა ისახელა თავი: სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა 23 წლის ლევან ბასილაშვილმა, რომელიც მძიმე წონაში გამოდიოდა და კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე რამდენიმე გამოცდილ და სახელოვან სპორტსმენს აჯობა. მესამე ადგილები დაიკავეს კასპელმა დავით ხოდელმა და დუშელმა რობერტ ძიძიშვილმა.

**ს**პორტის სხვა სასპარტაკიადო სახეობებში, ჩვენმა სპორტსმენებმა მედლები ვერ მოიპოვეს, მაგრამ სამაგიეროდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში ისახელეს თავი. კვლავ გაგვახარეს ქართველმა მესტენდურებმა. მოსკოვში, მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე გამართული საკავშირო ჩემპიონატი საქართველოს მრგვალ სტენდზე მსროლელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა: პირად შეჯიბრებაში 221 ქულით ჩემპიონი გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ იმნაიშვილი, გუნდურ ტურნირში კი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა (თამაზ იმნაიშვილი, გია შენგელია და დავით ქვათაძე) 437 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. უფრო ადრე, გემახსოვრებათ, ამ სამეულმა საკავშირო თასი მოიგო. ერთი სიტყვით, ჩვენი მესტენდურები ღირსეულად აგრძელებენ ტრადიციას და კვლავ ლიდერობას ინარჩუნებენ საკავშირო სარბიელზე.

**გ**ოგეხსენებათ, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს: მაია აზარაშვილი და ოლეგ სტრიჟაკოვი. ცხადია, სპარტაკიადაზე ეს სპორტსმენები ფავორიტთა შორის იქნებიან, მით უმეტეს რომ, როგორც ბოლოდროინდელ შეჯიბრებებზე დადასტურდა, ორივე კარგ სპორტულ ფორმაშია. სტრიჟაკოვი, მაგალითად, ივლისში კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე 10-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი მიიჭრა ფინიშთან — 28. 38, 85. ეს გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ 6 წელიწადია, რაც მძლეოსნობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი არ გვყოლია. თბილისელმა სტაიერმა 5 კილომეტრზე რბენაშიც მოსინჯა ძალა და მეხუთე ადგილი დაიკავა — 13. 48, 76.

**დ**ასავლეთ ბერლინში გამართულმა ევროპის პირველობამ დაგვარწმუნა, რომ საწყლოსნო სახეობებში საიმედო თაობა გვეზრდება. აქ თავი გამოიჩინა თბილისელმა ხრისტინა ფალასინიდიმ (სინქრონული ცურვა). ხრისტინა, რომელმაც ერთეულთა თანრიგში მეორე ადგილი დაიკავა, ჯგუფურ ვარჯიშში თანაგუნდელებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა. ათმეტრიანი კოშკიდან ხტომაში ვერცხლის მედალი მოიპოვა გიორგი ჩოგოვაძემ, დიანა მჭედლიძემ კი სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მესამე შედეგი აჩვენა.



**ს**აკავშირო შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებების შემდეგ საერთაშორისო სარბიელზე გავიდა ნიჭიერი თბილისელი ჩოგბურთელი ლეილა მესხი. უიმბლდონის ტურნირში მონაწილეობა უკვე თავისთავად მეტყველებს სპორტსმენის მაღალ კლასზე. ლეილამ არა მარტო ძალა მოსინჯა ამ ავტორიტეტულ შეჯიბრებაზე, არამედ მედალიც მოიპოვა. 18 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა იუნიორთა ტურნირში ზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხა და მხოლოდ ფინალურ შეხვედრაში დამარცხდა მინსკელ ნატალია ზვერევასთან.

ასეთია ივლისის სპორტული პანორამა თვალის ერთი გადავლებით. წინ არის არანაკლებ საინტერესო სპორტული ასპარეზობები: საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ტურნირები, საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები. ჩვენ კვლავ ქართველ სპორტსმენთა გამარჯვების მაუწყებელ ცნობებს დაველოდებით.

სტუდენტური ზაფხულის რომანტიკა

# შრომა, დასვენება, სპორტი...



**საქმიანი** კავშირურთიერთობა აქვთ საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივებს: პუშკინელი ქალიშვილები და ჭაბუკები უკვე რამდენიმე წელია გარეჯელ მეზვრეთა მხარდამხარ შრომობენ. ეხმარებიან მათ უხვი მოსავლის მოყვანასა და დაბინავებაში. წლეულს სამასკაციანი რაზმი „გარეჯი-86“ (მეთაური ელგა ცქიტიშვილი, უფროსი კომისარი კოტე კაპანაძე) ერთი თვის მანძილზე შრომობდა მეურნეობის ზვრებში — ასრულებდა სხვადასხვა ოპერაციებს — ფურჩქვნა-ახვევას, ცის გახსნას, მწვანე გახეივნებას. პუშკინელმა სტუდენტებმა ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 15 ათასი მანეთისა სულ 17 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს და თავდადებული გარჯით რაიონისა და მეურნეობის ხელმძღვანელთა, მშრომელი ადამიანების მადლობა დაიმსახურეს.

შრომითი რაზმის წევრები თავისუფალ დროს შინაარსიანად ატარებდნენ. ყველაზე მეტი მონაწილე და მაყურებელი სპორტულ პაექრობებს ჰყავდა. ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებლების თემურ ფუტკარაძისა და ლალი იმნაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა ბანაკის სპარტაკიადა სპორტის ოთხ სახეობაში. პირველობისათვის ბრძოლაში ცხრა რაზმი ჩაება. მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა რაზმ „შემოქმედის“ გუნდმა, რომლის ღირსებას სხვებთან ერთად ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი მაია მახარაძე იცავდა. შაშში პირველობა არავის დაუთმეს რაზმ „პედაგოგის“ სპორტსმენებმა. ფრენბურთში „სპექტრის“ წარმომადგენლებმა იმარჯვეს, მინი ფეხბურთში — „რომანტიკის“ გუნდის წევრებმა.

გარდა შიდასაბანაკო სპარტაკიადისა, შრომითი ბრიგადის წევრებმა ფეხბურთსა და ფრენბურთში ამხანაგური შეხვედრები გამართეს ადგილობრივ ახალგაზრდებთან, საგარეჯოს რაიონში მომუშავე სხვა შრომითი რაზმების გუნდებთან...

დამთავრდა შრომითი სემესტრი. პუშკინელი ახალგაზრდები ვალმოხდილი დაემშვიდობნენ გარეჯელ მევენახეებს... შემოდგომაზე, ქარვისფერი მტევნები კვლავ შრომით ფრონტზე მოუხმობს მათ.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ასე შრომობდნენ და ისვენებდნენ სტუდენტები.





ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო

## „რესპუბლიკის საფეხბურთო მინდვრებზე სრული წესრიგისთვის“

გაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეისწავლა გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებში მოყვანილი ფაქტები, კერძოდ, რესპუბლიკის სტადიონებზე ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე ჩატარებული მატჩების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

შემოწმებით დადგინდა, რომ ზოგიერთი რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სპორტულ ღონისძიებებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რის გამოც ფეხბურთის მატჩების დროს ჯერ კიდევ ხდება ხულიგნური გამოხდომები.

მიმდინარე წლის 29 ივნისს წულუკიძეში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდი „დილა“ და ჭიათურის „მაღაროელი“, თამაშის დროს გვერდით მსაჯს აბაიაძეს, მატჩის სანახავად მისულმა წულუკიძის მეორე გუნდის — „იმერეთის“ წევრმა ნ. ფარულავამ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი მაყურებელთა ერთი ნაწილი შეეცადა გადასულიყო სათამაშო მინდორზე. მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დაუშვეს ხულიგნობა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მკაცრად დაისაჯნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით მასალები სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად და დამნაშავის პასუხისმგებაში მისაცემად გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

ანალოგიური ზომებია მიღებული თეთრი წყაროს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომელთა მიმართ, რომლებმაც იმავე 29 ივნისს ადგილობრივ „გარისსა“ და ლაგოდეხის „ჰერეთს“ შორის ჩატარებული ფეხბურთის მატჩის დროს ვერ დაიცვეს საზოგადოებრივი წესრიგი.

გაცნობებთ, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა ხელმძღვანელებს პირადი პასუხისმგებლობა დაეკისრათ საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ჩატარებული შეხვედრების დროს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის.

**გ. კვანტალიანი,**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ფიზკულტურულ კოლექტივებში

## ფეხბურთს თამაშობენ ბრიგადები

**ჩვენი** ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის სულის ჩამდგმელი ფიზკულტურული კოლექტივია. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორაა ორგანიზებული ფიზკულტურული და სპორტმასობრივი მუშაობა უშუალოდ ძირეულ კოლექტივებში, რა სიახლეები ინერგება იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ეზიაროს ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს.

ფეხბურთი ჩვენში ყველას უყვარს და ფეხბურთელთა შეჯიბრება რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში ტარდება, მაგრამ კარგია, როცა ასეთი შეჯიბრებები თვით ფიზკულტურულ კოლექტივში ეწყობა. ერთი ასეთი შეჯიბრება ამ დღეებში გაიმართა ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ტრადიციად იქცა სოფლის გარდამავალი თასის გათამაშება ბრიგადების ფეხბურთის გუნდებს შორის (კოლმეურნეობის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ინდიკო გაბრიჭიძე). ამჯერად პირველობისთვის ბრძოლაში 7 ბრიგადა ჩაება. შეჯიბრების გარდამავალი თასი მიიღო პირველმა ბრიგადამ (ბრიგადირი რომან გაბრიჭიძე, მწვრთნელი ჯაბა ბერეკაშვილი), რომელმაც მეოთხე ბრიგადის ნაკრები (ბრიგადირი იური მშვილდაძე, მწვრთნელი გულადი გაბრიჭიძე) ანგარიშით 6:2 დაამარცხა.

მესამე ადგილი დაიკავა მეშვიდე ბრიგადის ფეხბურთელთა გუნდმა (ბრიგადირი იური კერესელიძე, მწვრთნელი დათო ხუსკივაძე).

დიახ, ბრიგადები არა მარტო შრომაში, სპორტშიც ეჯიბრებიან ერთმანეთს, რაც უფრო სახალისოს და საინტერესოს ხდის მათ საქმიანობას.

**ნოდარ კაკაურიძე,**
სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ზესტაფონის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

მკითხველი — გაზეთი

**შეკითხვა:** გთხოვთ მიპასუხოთ, არის თუ არა სავალდებულო პიონერულ ბანაკში მოსწავლეებმა ჩააბარონ მშდ ფიზკულტურული კომპლექსის პრაქტიკული ნორმატივები?

**ვახტანგ კურტანიძე.** თბილისი.

**პასუხი:** ფიზკულტურულ კომპლექსზე მუშაობას წამყვანი ადგილი უკავია პიონერული ბანაკის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ცურვაში ნორმატივის ჩაბარებას (ცხადია, ცურვის სწავლებასთან ერთად) და ნორჩების მონაწილეობას ტურისტულ ლაშქრობაში. პიონერული ბანაკის ხელმძღვანელობამ შინ დაბრუნებისას ბავშვებს აუცილებლად უნდა გაატანოს მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა, რასაც მოზარდი შემდეგ სკოლაში წარადგენს.

# I ლიგა

[..] აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXVI ტურის მატჩები.

ჩვენი ლანჩხუთელი კორესპონდენტი ავთანდილ ორმოცაძე [..]ატყობინებს ლანჩხუთის „გურიის“ და ბათუმის „დინამოს“ შეხვედრის შესახებ.

[..]თამაშის დასაწყისში, დაახლოებით ათიოდე წუთის განმავლობაში, [..]ინიციატივას დინამოელები ფლობდნენ, მათ დაწინაურების შესაძლებლობაც ჰქონდათ, მაგრამ ლანჩხუთელებმა მოიგერიეს ეს იერიშები, შემდეგ თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და თოფურიძემ 41-ე წუთზე კუთხურის მოწოდების შემდეგ [..]ახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების მერე, შუა ტაიმში, [..]ტუმრებს ხაპასუხო ბურთის გატანის რეალური შანსი მიეცათ, მაგრამ მათი საუკეთესო ბომბარდირის გორგილაძის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი ძელმა მოიგერია. თამაშის დასასრულს უპირატესობას კვლავ მასპინძლები დაეუფლნენ, რაც კოპალეიშვილის მიერ გატანილი მეორე გოლით დამთავრდა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა ლანჩხუთის „გურიამ“, რომელმაც I ლიგის გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა, I ლიგიდან უმაღლეს ლიგაში კი წლეულს [..]რი გუნდი გადადის.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „გურია“ — იმნაძე, დანელია, შველიძე, ე. თევზაძე, მელიქია, გილიგაშვილი (მ. თევზაძე), კოპალეიშვილი, [..]ბუჩავა (იმნაძე), ჩხაიძე, ფრიდონაშვილი (თოფურიძე), აკოფია. „დინამო“ — კუცია, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, შელია, გორგილაძე, მაისურაძე (მენაბდე). მსაჯი — ე. შკოდა (ლუცკი).

შემდგომ ტურში ბათუმის დინამოელები შინ მიიღებენ ლვოვის „კარპატის“, ხოლო „გურია“ სმოლენსკში ითამაშებს „ისკრასთან“.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დაუგავა“ (რიგა) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 3:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — ასკ (დონის როსტოვი) 3:0, „პამირი“ (დუშანბე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 4:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 4:2, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:1, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:3.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 5 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 24 | 17 | 5 | 2 | 58-23 | 39 |
| „გურია“ | 25 | 15 | 4 | 6 | 38-29 | 34 |
| ცსკა | 25 | 14 | 5 | 6 | 38-21 | 33 |
| „პამირი“ | 25 | 12 | 9 | 4 | 38-22 | 33 |
| ასკ. „კარ.“ | 25 | 12 | 7 | 6 | 42-25 | 31 |
| „როტორი“ | 25 | 14 | 2 | 9 | 40-25 | 30 |
| „როსტს.“ | 25 | 11 | 8 | 6 | 44-35 | 30 |
| „შინიკი“ | 25 | 12 | 5 | 8 | 21-15 | 29 |
| „დინამო“ ბ. | 25 | 11 | 5 | 9 | 28-30 | 27 |
| „ლოკომ.“ | 25 | 10 | 7 | 8 | 35-28 | 27 |
| „კოლოსი“ | 24 | 10 | 6 | 8 | 26-28 | 26 |
| „ფახთაქ.“ | 25 | 11 | 3 | 11 | 33-41 | 25 |
| „მეტალურ.“ | 24 | 9 | 5 | 10 | 32-27 | 23 |
| „სპარტაკი“ | 25 | 8 | 7 | 10 | 36-35 | 23 |
| ასკ რ. | 25 | 8 | 6 | 11 | 26-29 | 22 |
| „ფაკელი“ | 25 | 8 | 6 | 11 | 23-27 | 22 |
| „ყუბანი“ | 25 | 6 | 10 | 9 | 20-25 | 22 |
| „კოტაიკი“ | 25 | 6 | 9 | 10 | 20-24 | 21 |
| „დინ.“ სტ. | 25 | 4 | 12 | 9 | 25-30 | 20 |
| „კუზბასი“ | 25 | 5 | 9 | 11 | 28-40 | 19 |
| „ისკრა“ | 25 | 6 | 6 | 13 | 16-36 | 18 |
| „ატლანტ.“ | 24 | 5 | 6 | 13 | 17-34 | 16 |
| ასკ. ხ. | 25 | 4 | 7 | 14 | 25-43 | 15 |
| „ნისტრუ“ | 25 | 3 | 5 | 17 | 15-52 | 11 |

# საქართველოს პირველობა

**განვლილ** შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXI ტურის შეხვედრები I ლიგის გუნდებს შორის.

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „კახეთი“ (თელავი) 2:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 3:3, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ივერია“ (ხაშური) 1:2.

**დასავლეთი ჯგუფი**

„სქური“ (წალენჯიხა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 4:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 0:2, „დინამო“ (გაგრა) — „მადრევანი“ (წყალტუბო) 3:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — „სულორი“ (ვანი) 2:3, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:0.

## კიდევ რამდენიმე გადასვლა

**საფრანგეთის** პირველი დივიზიონის კლუბ „ბრესტს“ ახალ სეზონში ორი უცხოელი ფეხბურთელი ჰყავს. ესენი არიან ბრაზილიის ნაკრების ცენტრალური მცველი ჟულიო სეზარი, რომელმაც ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და არგენტინის ნაკრების ცენტრალური მცველი ხოსე ბრაუნი (მასთან სამწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა).

პოლონეთის ნაკრების ორი წევრი, ცენტრალური მცველი რომან ვუიჩიცკი და ნახევარმცველი ანჟეი ბუნცოლი ბუნდესლიგის დებიუტანტ „ჰამბურგში“ გადავიდნენ.

დანიის ნაკრების მცველი სიორენ ბუსკი ამიერიდან ითამაშებს საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „მონაკოში“, სადაც ცნობილი დანიელი ნახევარმცველი სიორენ ლერბი გადავიდა.

# II ლიგა

[..]ეორე წრე

**[X]VI ტური**

**[..] აგვისტო, სამშაბათი**

[„]დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ ([..]ოთი)
[„]შირაკი“ (ლენინაკანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი)
[„]სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — [„]ოლიმპია“ (აშტარაკი)
[„ქია]ფაზი“ (კიროვაბადი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური)
[„]კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „გიანჯლიკი“ (ბაქო)
[„]ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „არაზი“ (ნახიჩევანი)
[„]დილა“ (გორი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი)
[„]მეშახტე“ (ტყიბული) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია)

**[X]VII ტური**

**10 აგვისტო, კვირა**

[„]დინამო“ — „ავტომობილისტი“
[„]კოლხეთი“ — „ქიაფაზი“
[„]შირაკი“ — „ოლიმპია“
[„]მეტალურგი“ — „სპარტაკი“
[„]დილა“ — „გიანჯლიკი“
[„]ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კოლხოზჩი“
[„]მეშახტე“ — „ყარაბახი“
[„]ლოკომოტივი“ ს. — „არაზი“

**[X]VIII ტური**

**14 აგვისტო, ხუთშაბათი**

[„]დინამო“ — „ქიაფაზი“
[„]კოლხეთი“ — „ავტომობილისტი“
[„]შირაკი“ — „სპარტაკი“
[„]მეტალურგი“ — „ოლიმპია“
[„]დილა“ — „კოლხოზჩი“
[„]ლოკომოტივი“ თბ. — „გიანჯლიკი“
[„]მეშახტე“ — „არაზი“
[„]ლოკომოტივი“ ს. — „ყარაბახი“

**[XI]X ტური**

**[..] აგვისტო, პარასკევი**

[„]სპარტაკი“ — „კოლხეთი“
[„]ოლიმპია“ — „დინამო“
[„]ქიაფაზი“ — „მეტალურგი“
[„]ავტომობილისტი“ — „შირაკი“
[„]კოლხოზჩი“ — „ლოკომოტივი“ ს.
[„გი]ანჯლიკი“ — „მეშახტე“
[„]არაზი“ — „ლოკომოტივი“ თბ.
[„]ყარაბახი“ — „დილა“

**XX ტური**

**[..] აგვისტო, სამშაბათი**

[„]სპარტაკი“ — „დინამო“
[„]ოლიმპია“ — „კოლხეთი“
[„]ქიაფაზი“ — „შირაკი“
[„]ავტომობილისტი“ — „მეტალურგი“

## გათამაშების კალენდარი

**IX ზონა**

„კოლხოზჩი“ — „მეშახტე“
„გიანჯლიკი“ — „ლოკომოტივის“ ს.
„არაზი“ — „დილა“
„ყარაბახი“ — „ლოკომოტივი“ თბ.

**XXI ტური**

**8 სექტემბერი, ოთხშაბათი**

„შირაკი“ — „კოლხეთი“
„მეტალურგი“ — „დინამო“
„ქიაფაზი“ — „ოლიმპია“
„ავტომობილისტი“ — „სპარტაკი“
„არაზი“ — „გიანჯლიკი“
„ყარაბახი“ — „კოლხოზჩი“
„მეშახტე“ — „ლოკომოტივი“ თბ.
„ლოკომოტივი“ ს. — „დილა“

**XXII ტური**

**9 სექტემბერი, სამშაბათი**

„დინამო“ — „შირაკი“
„კოლხეთი“ — „მეტალურგი“
„სპარტაკი“ — „ქიაფაზი“
„ოლიმპია“ — „ავტომობილისტი“
„კოლხოზჩი“ — „არაზი“
„გიანჯლიკი“ — „ყარაბახი“
„დილა“ — „მეშახტე“
„ლოკომოტივი“ თბ. — „ლოკომოტივი“ ს.

**XXIII ტური**

**15 სექტემბერი, ორშაბათი**

„დინამო“ — „ლოკომოტივი“ თბ.
„კოლხეთი“ — „დილა“
„შირაკი“ — „ლოკომოტივი“ ს.
„მეტალურგი“ — „მეშახტე“
„სპარტაკი“ — „გიანჯლიკი“
„ოლიმპია“ — „კოლხოზჩი“
„ქიაფაზი“ — „ყარაბახი“
„ავტომობილისტი“ — „არაზი“

**XXIV ტური**

**19 სექტემბერი, პარასკევი**

„დინამო“ — „დილა“
„კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“ თბ.
„შირაკი“ — „მეშახტე“
„მეტალურგი“ — „ლოკომოტივი“ ს.
„სპარტაკი“ — „კოლხოზჩი“
„ოლიმპია“ — „გიანჯლიკი“
„ქიაფაზი“ — „არაზი“
„ავტომობილისტი“ — „ყარაბახი“

**XXV ტური**

**26 სექტემბერი, პარასკევი**

„კოლხოზჩი“ — „ავტომობილისტი“
„გიანჯლიკი“ — „ქიაფაზი“
„არაზი“ — „ოლიმპია“
„ყარაბახი“ — „სპარტაკი“
„დილა“ — „მეტალურგი“
„ლოკომოტივი“ თბ. — „შირაკი“
„მეშახტე“ — „კოლხეთი“
„ლოკომოტივი“ ს.— „დინამო“

**XXVI ტური**

**29 სექტემბერი, ორშაბათი**

„კოლხოზჩი“ — „ქიაფაზი“
„გიანჯლიკი“ — „ავტომობილისტი“
„არაზი“ — „სპარტაკი“
„ყარაბახი“ — „ოლიმპია“
„დილა“ — „შირაკი“
„ლოკომოტივი“ თბ. — „მეტალურგი“
„მეშახტე“ — „დინამო“
„ლოკომოტივი“ ს. — „კოლხეთი“

**XXVII ტური**

**6 ოქტომბერი, ორშაბათი**

„დინამო“ — „გიანჯლიკი“
„კოლხეთი“ — „კოლხოზჩი“
„შირაკი“ — „ყარაბახი“
„მეტალურგი“ — „არაზი“
„სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ თბ.
„ოლიმპია“ — „დილა“
„ქიაფაზი“ — „ლოკომოტივი“ ს.
„ავტომობილისტი“ — „მეშახტე“

**XXVIII ტური**

**9 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

„დინამო“ — „კოლხოზჩი“
„კოლხეთი“ — „გიანჯლიკი“
„შირაკი“ — „არაზი“
„მეტალურგი“ — „ყარაბახი“
„სპარტაკი“ — „დილა“
„ოლიმპია“ — „ლოკომოტივი“ თბ.
„ქიაფაზი“ — „მეშახტე“
„ავტომობილისტი“ — „ლოკომოტივი“ ს.

**XXIX ტური**

**16 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

„კოლხოზჩი“ — „მეტალურგი“
„გიანჯლიკი“ — „შირაკი“
„არაზი“ — „კოლხეთი“
„ყარაბახი“ — „დინამო“
„დილა“ — „ავტომობილისტი“
„ლოკომოტივი“ თბ. — „ქიაფაზი“
„მეშახტე“ — „ოლიმპია“
„ლოკომოტივი“ ს. — „სპარტაკი“

**XXX ტური**

**20 ოქტომბერი, ორშაბათი**

„კოლხოზჩი“ — „შირაკი“
„გიანჯლიკი“ — „მეტალურგი“
„არაზი“ — „დინამო“
„ყარაბახი“ — „კოლხეთი“
„დილა“ — „ქიაფაზი“
„ლოკომოტივი“ თბ. — „ავტომობილისტი“
„მეშახტე“ — „სპარტაკი“
„ლოკომოტივი“ ს. — „ოლიმპია“

**შენიშვნა:** თამაშები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

## კომპიუტერი და სპორტი

# ფანტასტიკური სინამდვილე

**დღევანდელი** დღე რთულ ამოცანების წინაშე გვაყენებს, ადამიანის დიდ ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენასა და საჭირო პრობლემების გადასაწყვეტად მათ გამოყენებას ხელს უშლის ის, რომ აუცილებელი ინფორმაცია ხშირად არაა ხელმისაწვდომი, ანდა ძნელდება მისი დროზე დამუშავება. ამ სირთულის დაძლევა შეუძლია კომპიუტერს.

კომპიუტერები დღითიდღე იცვლიან იერ-სახეს, ხდებიან სულ უფრო და უფრო სწრაფმოქმედნი, მძლავრნი, ამასთან, მათი ზომები განუწყვეტლივ მცირდება. თანამედროვე კომპიუტერს გააჩნია „ცოდნათა ბაზა“ და ამ ბაზაზე დაყრდნობით შექმნილი ინტელექტუალური სისტემა, რომელსაც საექსპორტო სისტემა ეწოდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპიუტერს აქვს უნარი შეინახოს და გადაამუშაოს უზარმაზარი ინფორმაცია, მოგვცეს ახსნა-განმარტება ამა თუ იმ გადაწყვეტილებათა მიღების გზების შესახებ. კომპიუტერები უკვე სამ ათას სხვადასხვა დარგში გამოიყენება. ერთ-ერთი მათგანია სპორტი.

ვნახოთ რა როლს ასრულებს იგი სწავლების საქმეში. წარმოვიდგინოთ, რომ ვიმყოფებით კლასში, სადაც კომპიუტერები ბავშვებს ჭადრაკის თამაშს ასწავლიან: ჭადრაკი შემთხვევით არ აგვირჩევია. ცნობილია, რომ ბავშვებისთვის შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებაში ჭადრაკს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. იგი მათ უვითარებს ძირითადის, ობიექტთა ერთობლიობიდან საერთოს გამოყოფის უნარს, შინაგან ზომიერებას და სხვა ძალზე სასარგებლო ჩვევებს.

მაშ ასე, ჭადრაკის კლასი. მხიარული, უშუალო დამოკიდებულების ატმოსფერო სუფევს „ჭკვიან“ მანქანებსა და მათ პატარა აღსაზრდელებს შორის. ბავშვები დიდი ხალისით (თანხმობით, ამას სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს) ასრულებენ კომპიუტერის მიერ შეთავაზებულ დავალებებს, მისი დახმარებით ებრძვიან სადებიუტო შეცდომებს, ეუფლებიან შუა თამაშის ხელოვნებას, ეცნობიან დაბოლოებათა გათამაშების ხერხებს და ა. შ.

კომპიუტერი სპარინგ-პარტნიორის როლსაც წარმატებით ართმევს თავს. მასთან პაექრობა ბავშვებს სითამამეს მატებს, მათ უვითარებს სიზუსტისადმი სწრაფვას.

მოსკოვის პიონერთა სასახლის სპორტულ სკოლაში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვაჩვენა, რომ კომპიუტერის დახმარებით დამწყები მოჭადრაკეები პირველი წლის პროგრამას ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში ითვისებენ. მალე ჭადრაკში მოვა დიდოსტატთა მთელი პლეადა, რომელთაც აზროვნება გაღრმავებული ექნებათ კომპიუტერებთან ურთიერთობაში. სავარაუდებელია, რომ მათი თამაშის დონეც გაცილებით მაღალი იქნება.

კომპიუტერის დახმარებით შეუძლიათ ისარგებლონ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებსაც. მასთან ურთიერთობაში ისინი რთულ სიტუაციაში სწრაფად გარკვევის უნარსა და საკუთარ ტაქტიკურ აზროვნებას დახვეწენ.

მწვრთნელი, მწვრთნელი რაღას იზამს? მას დარჩება დრო შემოქმედებითი კონსულტაციებისთვის, აღსაზრდელებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის. სხვათა შორის, კომპიუტერს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია აღმზრდელთათვისაც. მწვრთნელს (განსაკუთრებით ახალბედას) თავის საქმიანობის დასაწყისში უამრავი სიძნელე ეღობება წინ. ცხადია, მას შეუძლია წიგნებით ისარგებლოს ან კოლეგებს სთხოვოს გამოცდილების გაზიარება, მაგრამ განა ეს ყოველთვის მოსახერხებელია? აი, სწორედ აქ გაჭირვების ტალკვესად გვევლინება კომპიუტერი. კლავიშზე თითს დააჭერთ და დაუყოვნებლივ მიიღებთ საჭირო რჩევა-დარიგებებს, რეკომენდაციებს, მასალებს, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ჩატარდეს მეცადინეობა.

წინათ ჩემპიონებს „იოლი“ ცხოვრების, სულის მოთქმის საშუალება ჰქონდათ. დღეს საქმე სხვაგვარადაა. ყოველი შეჯიბრება უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობს, კალეიდოსკოპური სიჩქარით იცვლებიან რეკორდსმენები, ლიდერები, ფავორიტები. ჩემპიონებს ფეხზე „აბიჯებენ“ პრეტენდენტები. ასეთ პირობებში მხოლოდ კომპიუტერის საშუალებით შეუძლია სპორტსმენს ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს მოწინააღმდეგის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

თანამედროვე სპორტულ შეჯიბრებაში იზრდება თითოეული წამის, თითოეული ქულის ფასი. შესაბამისად იზრდება სპორტსმენის დატვირთვა. შეუძლებელია ათლეტმა, რომელიც უმაღლეს მიღწევებზე ოცნებობს, ყურად არ იღოს მედიცინის მუშაკთა რჩევა-დარიგებები. მოგეხსენებათ, სამედიცინო მოთხოვნები სპორტის სხვადასხვა სახეობაში თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან. შეჯიბრებისთვის სხვადასხვანაირად ემზადებიან ფეხბურთელები, მოჭადრაკეები, მოკრივეები. კომპიუტერს შეუძლია სპორტსმენის მდგომარეობის გაანალიზება, დიაგნოზის დასმა, მოსალოდნელი შედეგის ვარაუდი, სპორტსმენის მზადების პროცესში ჩარევა, სპორტსმენისათვის წვრთნის ოპტიმალური რეჟიმის შერჩევა.

ცხარე ბრძოლაგადახდილ სპორტსმენს ძნელი პერიოდი უდგება. ცნობილია, რომ ფიზიკურად კარგად მომზადებულ მოჭადრაკესაც კი წნევა 160/110 მილიმეტრამდე აუწევს ხოლმე. აღსანიშნავია, რომ მოჭადრაკე დიდოსტატი ფიზიკური მზადყოფნით, დავუშვათ, პრეტენდენტთა მატჩის დროს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამორჩეს, ვთქვათ, ცურვაში მსოფლიო ჩემპიონს. ასე რომ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წარიმართება აღდგენითი პროცესი სათანადო მონაცემების დამუშავების საფუძველზე. კომპიუტერს შეუძლია სპორტსმენისათვის შეარჩიოს ოპტიმალური რეჟიმი ფიზიკურ ძალთა აღსადგენად. ამ რეჟიმის დაცვა უზრუნველყოფს შეჯიბრების მონაწილის ყოველმხრივ მზადყოფნას დანიშნული დროისთვის.

აუცილებელია საჭადრაკო დებიუტების მანქანური კართოტეკის შექმნა. სპეციალისტები ხშირად გამოთქვამენ შენიშვნებს იმის თაობაზე, რომ მოჭადრაკეთა თეორიული მომზადების დონე სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. საქმე იმაშია, რომ დღეს საჭადრაკო პარტიის ბედს ძირითადად სადებიუტო ბრძოლის შედეგი განსაზღვრავს. უპირატესობას აღწევს ის, ვისაც უფრო მდიდარი და სრულყოფილი იდეები აქვს, ამის შემდეგ გამარჯვება უკვე შორს აღარაა, მაგრამ კარგ სადებიუტო მომზადებას წინ უძღვის დიდი მოსამზადებელი სამუშაო — საჭიროა სათანადო ლიტერატურის გადათვალიერება, რაც დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. საქმის ვითარებას ვერ ცვლის მაკრატლითა და წებოთი შეიარაღებულ ადამიანთა მიერ დამზადებული კართოტეკები. საჭიროა მანქანური კართოტეკის შექმნა. კლავიშზე თითის დაჭერით დისპლეის ეკრანზე ნათდება მოცემულ პოზიციაში ცნობილ გაგრძელებათა სრული ნუსხა საჭირო კომენტარებითა და შეფასებებით. მხოლოდ მისი დახმარებით შეუძლია თანამედროვე მოჭადრაკეს თვალი ადევნოს სადებიუტო იდეების განვითარებას.

ცნობილი ხერხების, ილეთების სისტემატიზირებას და შენახვას სარგებლობა შეუძლია მოგვიტანოს სხვა სახეობაშიც. ამ რესურსთა გონივრული გამოყენება უთუოდ ხელს შეუწყობს სპორტსმენის შესაძლებლობების მთლიანად გამოვლენას, ახალბედას კი იგი დაეხმარება თავიდან აიცილოს „ველოსიპედის გამოგონება“.

კომპიუტერს შეუძლია დახმარება გაუწიოს ჟურნალისტებს, თქვენ წარმოიდგინეთ, გულშემატკივრებსაც კი. მათ საშუალება ექნებათ ოპერატიულად მიიღონ საჭირო ცნობები. ეს მაშინ, როცა ჩვეულებრივ პირობებში საინტერესო მასალის მისაკვლევად საჭიროა თაროებზე დალაგებული მტვრით დაფარული ჟურნალ-გაზეთების დასტების და წიგნების ქექვა.

კომპიუტერთა დახმარებით შესაძლებელია სპორტის სახეობების მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნა.

**დავით ჯაფარიძე,**
თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

## მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში

# მთავარი ფავორიტები

**8 აგვისტოს** მინსკსა და ვილნიუსში სტარტს აიღებს მსოფლიოს X ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა შორის. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს აქამდე მხოლოდ ორი გუნდი ფლობდა: საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონია, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები — სამგზის ჩემპიონი. სპეციალისტთა უმრავლესობა სწორედ ამ გუნდებს მიიჩნევს მომავალი ასპარეზობის მთავარ ფავორიტებად.

კეთილი ნების თამაშებმა დაგვანახა, რომ საბჭოთა გუნდის თამაშში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზები შეიმჩნევა. ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო გუნდს გამოაკლდნენ გამოცდილი კალათბურთელები ელენა ჩაუსოვა, ოლგა სუხარნოვა და გალინა სავიცკაია. ამიტომ იყო, საბჭოთა კალათბურთელები თავდასხმაში წინანდებური აქტიურობით რომ ველარ გამოირჩეოდნენ. თუმცა, კეთილი ნების თამაშები უთუოდ კარგი სკოლა იყო ნაკრების დებიუტანტებისათვის ელენა თორნიკიდუსა და ირინა გიორლიცისათვის. საფიქრებელია, რომ საბჭოთა კალათბურთელები და მათი მწვრთნელები გაითვალისწინებენ აქ მიღებულ გაკვეთილს და ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნონ.

მასპინძელთა მთავარი კონკურენტი, როგორც ვთქვით. ოლიმპიური ჩემპიონი, აშშ-ის ნაკრები იქნება. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ აშშ-ის ქალმა კალათბურთელებმა ბევრი რამ შეითვისეს ვაჟებისაგან, მათ შორის დაცვაში მეტად მკაცრი თამაში და ფარქვეშ აქტიური ბრძოლა. სწორედ ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა მნიშვნელოვანწილად ამერიკელთა გამარჯვება საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ამას წინათ გამართულ პრინციპულ მატჩში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეხვედრაში ამერიკელმა დონოვანმა შეძლო სემიონოვას ნეიტრალიზება. ეს იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების ისტორიაში ყველაზე სერიოზული დამარცხება (60:83).



არა გვგონია ამ ორი გუნდის დავაში ვინმე ჩაერიოს. უკომპრომისო ბრძოლაა მოსალოდნელი ბრინჯაოს მედლებისათვის. ამ ჯილდოს ყველაზე რეალური პრეტენდენტი ბრაზილიის ნაკრები ჩანს. კეთილი ნების თამაშებში მისმა მონაწილეობამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მედლებისთვის იბრძოლებენ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, შესაძლოა, ჩინეთისა და სამხრეთ კორეის ნაკრები გუნდებიც. თუმცა, ვინ იცის იქნებ მსოფლიო ჩემპიონატმა სიურპრიზი შემოგვთავაზოს.

**მერაბ კალანდაძე.**

## ყველა პრიზიორი

**I ჩემპიონატი.** 1953 წლის 7-22 მარტი. ჩილი. 1. აშშ, 2. ჩილი, 3. საფრანგეთი.

**II ჩემპიონატი.** 1957 წლის 13-26 ოქტომბერი. ბრაზილია. 1. აშშ, 2. სსრ კავშირი, 3. ჩეხოსლოვაკია.

**III ჩემპიონატი.** 1959 წლის 10-18 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირი. 1. სსრ კავშირი, 2. ბულგარეთი, 3. ჩეხოსლოვაკია.

**IV ჩემპიონატი.** 1964 წლის 18 აპრილი-4 მაისი. პერუ. 1. სსრ კავშირი, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. ბულგარეთი.

**V ჩემპიონატი.** 1967 წლის 15-22 აპრილი. ჩეხოსლოვაკია. 1. სსრ კავშირი, 2. სამხრეთ კორეა, 3. ჩეხოსლოვაკია.

**VI ჩემპიონატი.** 1971 წლის 15-29 მაისი. ბრაზილია. 1. სსრ კავშირი, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. ბრაზილია.

**VII ჩემპიონატი.** 1975 წლის 23 სექტემბერი-5 ოქტომბერი. კოლუმბია. 1. სსრ კავშირი, 2. იაპონია, 3. ჩეხოსლოვაკია.

**VIII ჩემპიონატი.** 1979 წლის 29 აპრილი-13 მაისი. სამხრეთ კორეა. 1. აშშ, 2. სამხრეთ კორეა, 3. კანადა (ამ ჩემპიონატში მონაწილეობაზე სოციალისტურმა ქვეყნებმა უარი განაცხადეს).

**IX ჩემპიონატი.** 1983 წლის 25 ივლისი-6 აგვისტო. ბრაზილია. 1. სსრ კავშირი, 2. აშშ, 3. სამხრეთ კორეა (ფინალური მატჩი: სსრკ—აშშ 84:82).

### კალათბურთი

# ბოჟე „რეალში"?

**ახლახან** დამთავრებულ ვაჟ კალათბურთელთა X მსოფლიო ჩემპიონატზე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო აშშ-ის ნაკრების ტანმორჩილმა გამთამაშებელმა ტაირონ ბოჟემ (მისი სიმაღლეა 159 სმ). ამ სპორტსმენის ტექნიკურმა, საზრიანმა თამაშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპეციალისტებზეც. როგორც უცხოეთის პრესა იუწყება, ევროპის რამდენიმე ცნობილ კლუბს, მათ შორის მადრიდის „რეალს", სურვილი გაუჩნდა ბოჟე გადმოიბიროს. „რეალის" მწვრთნელის ლოლო სანსის აზრით, თუ ბოჟეს შეიძენს, გუნდს გადასაჭრელი აღარ ექნება დრაჟენ პეტროვიჩის პრობლემა (პეტროვიჩი, როგორც ცნობილია, ზაგრების „ციბონას" საუკეთესო მოთამაშეა,), ბოჟეს მოწვევით „რეალის" ხელმძღვანელობას სურს შემცვლელი მოუძებნოს თავის გამოცდილ გამთამაშებელს, 32 წლის ხუან ანტონიო კორბალანს.



# +1 ვახტანგ ბალავაძის სახელობისა

**ჩვენი** გაზეთის 10 ივლისის ნომერში ვწერდით, რომ თემქის დასახლების მე-11 მიკრორაიონში ენთუზიასტთა ჯგუფის და მისი ხელმძღვანელის რობიზონ ნუსხელაძის მეცადინეობით თბილისში პირველად მოეწყო მუდმივი ღია სარბიელი ქართული ჭიდაობის მოყვარულთათვის. ახალ საჭიდაო არენაზე უამრავი მაყურებლის თანდასწრებით ყოველ კვირას ეწყობა საინტერესო შეხვედრები თბილისისა და ახლომდებარე სოფლების ფალავნების მონაწილეობით. გუშინწინ, საზეიმო გახსნაზე, ფალავანთა ამ საკრებულოს ოფიციალური სტატუსი მიენიჭა — მას ვახტანგ ბალავაძის სახელობის საჭიდაო არენა ეწოდა. ზეიმზე საპატიო სტუმრად მიწვეული ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი თვითონვე ასრულებდა მთავარი მსაჯის მოვალეობას. სპორტულ საღამოზე ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა მოეწყო.



# 52 დღე გზაში

ჩინეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ე. წ. „მძლეოსნური ზემარათონი", რომელიც ყოველწლიურად პეკინის ცენტრალურ მოედანზე იღებს სტარტს და 52 დღეს გრძელდება. „ზემარათონის" მონაწილეებმა საერთო ჯამში 2800 კილომეტრი უნდა დაფარონ. რბენა მთავრდება გუანდუნის პროვინციის დედაქალაქ გუანჩჟოუში. მარათონის მონაწილეებისთვის ყველაზე კრიტიკულ რაიონად სამხრეთის პროვინციები ითვლება, სადაც საშუალო ტემპერატურა ჩრდილში პლუს 40 გრადუსს აღემატება.

წლევანდელ მარათონში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს მასწავლებლებმა, ინჟინრებმა, წარმოების ხელმძღვანელებმა, მძლეოსნობის მოყვარულებმა, რომელთა ასაკი 56 წელს არ აღემატება. მარშრუტს იცნობს გადარბენის მხოლოდ ერთი მონაწილე, 50 წლის ლი ბინჩუკუანი. ამიტომ მარათონელებმა იგი კაპიტნად აირჩიეს.

რბენის გრაფიკი ასეთია: დილის 4 საათზე მოეწყობა სტარტი, 50-60 კილომეტრის შემდეგ ღამისთევა. მარათონელებს მოემსახურება სპეციალური ავტომანქანა, ე. წ. მოძრავი კვების ბლოკი.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი, 30-ე ტირაჟებისა, რომლებიც 27 ივლისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** გაიყიდა 679 451 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (39 ბარათი) მოგება 1234 მანეთია, ოთხისთვის (1947) — 31, სამისთვის (31779) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** გაიყიდა 5 759 848 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (21 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (4447) — 123, სამისთვის (138570) — 7.

30-ე ტირაჟისა და 10 ტირაჟიანი (21-იდან 30-ის ჩათვლით) ბილეთების მოგებათა განაღდება — 11 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით.

• • •

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 31-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 2 (ბიატლონი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 29 (სასტენდო სროლა), 39 (ბადმინტონი), 42 (ჩოგბურთი), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 3 (ბობსლეი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 22 (წყალში ხტომა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი).


ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

9 აგვისტო

ფეხბურთი

თბილისის თასის ფინალური მატჩი

ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი — „შევარდენი"-სთ

დასაწყისი 18 საათზე.

ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში.


დღე ... ვილგარე...
ვაჟე...
ფაუჰის...
სან-ხუანში (პუერტო-რიკო) ...
ტარდა საჭადრაკო ფესტივალი, რო...
მელიც მშვიდობის საერთაშორი...
წელს მიეძღვნა. აქ ერთბაშად რა...
დენიმე საჭადრაკო ტურნირი გა...
ეწყო, რომელთა შორის უმნიშვ...
ლოვანესი იყო მსოფლიო ჩემპიო...
ნატი 14 წლამდე ასაკის გოგო...
შორის. დიდი ინტერესი გამოიწ...
ამ შეჯიბრებაში ორი უკვე კარგ...
ცნობილი უნგრელი გოგონას ...
მოსვლამ: ბრძოლაში ჩაებნენ ...
წლის სოფია (შუათანა და) და ...
წლის ჯუდიტა (უმცროსი) პოლ...
რები. ორივე მათგანმა ჩინებულ...
ითამაშა.
9 შესაძლებლიდან 8 ქულით ...
ადგილი და ჩემპიონის წოდ...
ლაუტიერმა (საფრანგეთი) მოი...
ვა. დებმა პოლგარებმა 6,5-6,5 ...
ლით დაამთავრეს შეჯიბრება. ...
ფიას უკეთესი კოეფიციენტის ...
მო ვერცხლის მედალი მიენიჭა, ...
დიტას — ბრინჯაოსი.
ჭადრაკის ისტორიაში პირველ...
მოეწყო ექსპერიმენტული მსო...
ლიო პირველობები 10 და 12 წლ...
მდე ასაკის ყმაწვილებს შორის. ...
რველში გაიმარჯვა კანადელმა ს...
რვერმა, მეორე ტურნირში კი მს...
ფლიო ჩემპიონის წოდება ინგლ...
სელმა კუმარანმა მოიპოვა.

ჯოინერი ვე...
„დაშოშმინდ...
**როგორც** ცნობილია, მოსკ...
ში კეთილი ნების თამაშებზე ...
წლის ამერიკელმა ზანგმა ჯეკი ჯ...
ინერმა ქალთა მძლეოსნურ შვი...
ჭიდში ახალი მსოფლიო რეკორ...
დაამყარა — 7148 ქულა. სპეცი...
ლისტებმა ამ შედეგს ფანტასტიკ...
რი უწოდეს და მას „მრავალი წლ...
სიცოცხლე" აღუთქვეს.
მაგრამ წინასწარმეტყველება ...
გამართლდა. ამ დღეებში აშშ...
ქალაქ ჰიუსტონში ოლიმპიურ ფ...
სტივალზე ჯოინერმა თავისი უ...
ღლესი მიღწევა 13 ქულით გა...
მჯობესა. მსოფლიოს რეკორდი შ...
დჭიდში ახლა უკვე 7161 ქულ...
უდრის.
შეჯიბრების შემდეგ სპორტსმ...
ნმა განაცხადა, რომ არც ეს ...
დეგია მისთვის ზღვარი. წლევ...
დელი სეზონის დამთავრებამდ...
თქვა მან, შევეცდები მსოფლ...
რეკორდის „ჭერი" 7300 ქულ...
დე ავიყვანო. ამისთვის საჭირ...
ზოგიერთ სახეობაში ტექნიკის ...
ხვეწა და ინტენსიური ვარჯიში.

სხვათა შორ...
100 წლის ალპინის...
**100 წლის** იაპონელმა ტე...
იგარასიმ თავისი ესოდენ ხანგ...
ლივი ცხოვრების იუბილე იმ...
აღნიშნა, რომ ავიდა იაპონიის ყვ...
ლაზე მაღალი მთა ფუძიამას მწვე...
რვალზე—3,776 მეტრი ზღვის დო...
დან. ტ. იგარასის მწვერვალზე ...
ვდნენ ალპინისტები და შვილ...
რომელიც 61 წლისა შესრულდ...
ტ. იგარასი ეს უკვე მეთერ...
მეტედ ადის ფუძიამაზე, მწვერ...
ლი კი მან პირველად 75 წლ...
სამ დაიპყრო.

ეკრანზე და ეთერ...
**ცენტრალური ტელევიზია.** ...
აგვისტო. დილის ტანვარჯიში ...
9.00 (2); საჭადრაკო სკოლ...
— 10.00 (2); სპორტი და პი...
ნება; ვ. სალნიკოვი — 18.35 ...
მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკ...
მატჩ-რევანში — 20.00 (1); ...
მული ტანვარჯიში — 20.15 ...
სსრ კავშირის თასი ფეხბურთ...
მერვედფინალი: „ტორპედო" ...
სკოვი) — „დინამო" (თბილისი...
მეორე ტაიმი — 21.00 (2).
**საქართველოს ტელევიზია.** ...
აგვისტო. მსოფლიო ჩემპიონ...
ჭადრაკში: მატჩ-რევანში — 20...
სსრ კავშირის თასი ფეხბურთ...
მერვედფინალი: „ტორპედო" ...
სკოვი) — „დინამო" (თბილისი) ...
21.00.
**საქართველოს რადიო.** 5 ...
ვისტო. რიტმული ვარჯიში — 11...
სსრ კავშირის თასი ფეხბურთ...
„ტორპედო" (მოსკოვი) — „დი...
მო" (თბილისი) — 21.00.

რედაქტორის მოადგ...
თ. გაჩეჩილა...


**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-36

**ჩვენი ინდექსი:** 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22უე 076...